მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N73

ს.კ. 234 232 149

ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე კულტურული ძეგლის (კიდევაც დაიზრდებიან) მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და რუსთაველის ქუჩაზე N5 საჯარო სკოლი მიმდებარე ტერიტორიაზე მოაჯირის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის მეშვეობით შესყიდვა

71320000 - საინჟინრო–საპროექტო მომსახურება

საკონკურსო დოკუმენტაცია

2015 წელი

საკონკურსო განცხადება

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აცხადებს კონკურსს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე კულტურული ძეგლის (კიდევაც დაიზრდებიან) მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და რუსთაველის ქუჩაზე N5 საჯარო სკოლი მიმდებარე ტერიტორიაზე მოაჯირის მოწყობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად – წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას (4 ეგზემპლრი) თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების სრული კომპლექტი PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7,9 მგბ-ს

3. დაფინანსების წყარო: 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

   შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს : 5 000 (ხუთი ათასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. **კონკურსში მონაწილეობის საფასური**

   5.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://prokurement.gov.ge).

   5.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

საკონკურსო განცხადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-4 და მე-5 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

6. **კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 30 ივნისს 12:00 საათზე.**

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2015 წლის **30 ივნისს 12:00** საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული, რუსთაველის #73, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში. (პირველი სართული), განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები, დღგ–სა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.

დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

7. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2012 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით პერიოდში <u>ანალოგიური მომსახურების შესრულების გამოცდილება</u> (წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ანალოგიური/მსგავსი მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მიღება–ჩაბარების აქტებ(ებ)ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული ასლ(ებ)ი)...

8. <u>**საკონკურსო წინადადება უნდა შედგებოდეს:**</u>

1. საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით)

2. 3D ვიზუალიზაცია (რენდერები).

3. განმარტებითი ბარათის სახით არქიტექტურული გადაწყვეტილებები და მოსაზრებები მოცემული კულტურული ძეგლის (კიდევაც დაიზრდებიან) ტერიტორიის კეთილმოწყობის შესახებ;

4. არქიტექტურული გეგმარებითი გადაწყვეტილებები (სქემატურად დამუშავებული ნახაზის სახით).

5. რეკვიზიტები და ინფორმაცია/დოკუმენტაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ.

6. <u>განმარტებითი ბარათი, გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია (გეგმარებითი გადაწყვეტა); ვიზუალიზაცია; საპრეზენტაციო მასალები წარმოდგენილ იქნას მინიმუმ A-2 ფორმატზე, ელექტრონული ვერსიით CD დისკზე;</u>

კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

9. შეფასების კრიტერიუმი

საკონკურსო წინადადებების შეფასებას საკონკურსო კომისია განახორციელებს შემდეგი კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიერიტეტულობის კოეფიციენტი
1	საკონკურსო წინადადების ფასი	0.3
2	კონკურსანტის გამოცდილება	0.3
3	არქიტექტურული დიზაინი/ვიზუალიზაცია	0.4
	სულ	**1.0**

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. (ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა).

10. <u>მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი</u>

10.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში (საკონკურსო განცხადების მე-4 მუხლი) მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტის სრულ ვერსიას, საკონკურსო განცხადებისა და პირობების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რაზედაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

12. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზებში.

13. საჭიროების შემთხვევაში გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ობიექტების ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

11. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

12. კონკურსი ტარდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიის აპარატის წევრისგან, საკონტაქტო პირი: გიორგი გაბაძე , ტელ: 0 357 22 15 04.

ტექნიკური დავალება

გამარჯვების შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. არქიტექტურული პროექტი;

   - თავფურცელს – ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
   - პროექტის შემადგენლობას;
   - განმარტებით ბარათს;
   - სამუშაოების მოცულობათა უწყისს და სადეფექტო აქტს;
   - არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციას;
   - ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2. განათების მოწყობა (ახალი);

3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გრაფიკით;

<u>შენიშვნა:</u>

- საპროექტო ორგანიზაციის მიერ, ობიექტის ადგილზე დეტალური შესწავლით დადგინდეს ზემოჩამოთვლილი სამუშაოების პროექტირებისათვის საჭირო ყველა დეტალი.
- სხვა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოები ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნას მის წინადადებაში.
- საპროექტო დოკუმენტაციის მიმდინარეობის პროცესში, ყველა დეტალი შეთანხმებულ იქნას გამგეობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან.

ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე N5 საჯარო სკოლი მიმდებარე ტერიტორიაზე მოაჯირის მოწყობა (70 გრძ/მ.)

პროექტი უნდა მოიცავდეს:

- თავფურცელს – ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- პროეტის შემადგენლობას;
- განმარტებით ბარათს;
- სამუშაოთა მოცულობის კრებსით უწყისს;
- ხარჯთაღრიცხვა;
- არქიტექტურული ნახაზი;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის **4** (ოთხი) ეგზემპლარი (ელექტრონული ვერსიით PDF; Excel);

ასევე მუშა პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს:

- სამუშაოების წინასწარი რესურსული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დოკუმენტაციის მომზადება, ყველა არსებული გადასახადების გათვალისწნებით.

შენიშვნა:

- სხვა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოები ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნას მის წინადადებაში.

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შესაძლოა დაზუსტდეს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი

ქ. მარნეული **„“ 2015 წ.**

ერთის მხრივ **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ თოფჩიშვილის სახით და მეორეს მხრივ ———— (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების და მიმწოდებლის (—— ——) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

1.6. “ტექნიკური დავალება”– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე კულტურული ძეგლის (კიდევაც დაიზრდებიან) მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და რუსთაველის ქუჩაზე N5 საჯარო სკოლი მიმდებარე ტერიტორიაზე მოაჯირის მოწყობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს:

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ————————. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან “მიღება-ჩაბარების” აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი (———)

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს (————)

6.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრუელების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2. ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში:

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. ადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. სუბ-კონტრაქტორები

11.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთაპასუხისმგებლობახელშეკრულებისპირობებისდარღვევისათვის

13.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას

დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.

13.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირეულების 10 (ათ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლება 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს----------
----**წ-მდე.**

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია: **მიმწოდებელი:**